საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/7524
08/08/2017

7524-09-2-2-201708081056

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს
vakhtang@csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

2017 წლის 26 ივლისს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან თბილისის საქალაქო სამსახურში შემოვიდა თქვენი წერილი (№10516/09 26.07.2017წ.), რომელიც ეხებოდა ჰიპერმარკეტ „კარფური“-ს შემოწმებას (არაგეგმურ ინსპექტირებას).

04 აგვისტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორების მიერ განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“-ში (ჰიპერმარკეტი „კარფური“, მდებარე ქ.თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, თბილისი მოლი, ს/კ 404923749). სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ჰიპერმარკეტის საწარმოში დაცული არ იყო ჰიგიენის ზოგადი წესებით დადგენილი მოთხოვნები. კრიტიკული შეუსაბამობის გამო ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ 68-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №010059, საყინულე მაცივარში და პურ-ფუნთუშეულის საამქროში შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრამდე, ადგილზე ასევე შეივსო შესაბამისობის შეფასების აქტი №1A7C70044260E 04/08.2017წ. გაცემული არაკრიტიკული შეუსაბამობების შესასრულებლად მიეცა გონივრული ვადა (15.09.2017წ.).

პატივისცემით,

ვასილ ბასილაძე

სამსახურის უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge